პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - "აგრარული ტექნოლოგიები" სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, შემდეგი სფეროებიდან:

1. 0811 მემცენარეობა და მეცხოველება
2. 0819 სოფლის მეურნეობა -არაკლასიფიცირებული
3. 0821 მეტყევეობა
4. 0511 ბიოლოგია (კერძოდ ბიომრავალფეროვნება -0511.2.1);
5. 0521 გარემოსმცოდნეობა
6. 0721 სურსათის გადამუშავება

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - "აგრარული ტექნოლოგიები" ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდების საფუძველზე. გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე https://gtu.ge/apply/tests.php გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სავალდებულოა უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა.

აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს/დოკუმენტს ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ერთ–ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული);

გარე მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/apply/mobility.php

საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც https://gtu.ge/agro/apply/master.php

უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია https://gtu.ge/agro/ ნებისმიერ მსურველს აქვს

შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის შესახებ კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
პროგრამის მიზანია: უმაღლესი აგრარული განათლების, კონკურენტუნარიანი, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს მორგებული სპეციალისტის მომზადება, ისეთი ცოდნითა და უნარებით, როგორიცაა: • ნიადაგის ნაყოფიერების მართვა-ამაღლების უახლესი მეთოდების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანა, ხარისხიანი თესლის და მოსავლის მიღება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაცვა სარეველა მცენარეებისაგან ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემების თავისებურებების გათვალისწინებით; • ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების ადაპტაცია ადგილობრივ გარემო პირობებთან, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება თანამედროვე, ინოვაციური მიდგომებით; • სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე გავრცელებული მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ განსახორციელებული ბრძოლის უახლესი ბიოტექნოლოგიური მეთოდების ეფექტური გამოყენება. მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის მართვა მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მეშვეობით.
სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული) 1. განიხილავს მეცნიერების თანამედროვე მიღწევის და მოწინავე ტექნოლოგიების ცოდნის საფუძველზე, ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემების თავისებურებების გათვალისწინებით, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას; 2. იცის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის თანამედროვე აგრო და ბიოტექნოლოგიური კვლევის მეთოდები; 3. განსაზღვრავს ნიადაგის ნაყოფიერების პოტენციალს, მორფოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, ნიადაგის რეკულტივაცია-კონსერვაციის, აგროტექნიკური და სამელიორაციო ღონისძიებებს; 4. აანალიზებს ბუნებრივ სათიბ-საძოვრებსა და სახნავი მიწებზე კულტურების მოვლა-მოყვანის და საკვების დამზადების ტექნოლოგიას; 5. აფასებს მავნე ორგანიზმებისა და სარეველების მიერ გამოწვეულ დაზიანების ხარისხს, ახორციელებს მცენარეთა დაცვის ღონისძიებებს; 6. აყალიბებს მცენარეთა დაცვისა და სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და კვლევის მეთოდებს; იყენებს აგრარულ სფეროში დამკვიდრებულ სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის აპრობირებულ სქემებს; 7. იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს სამეცნიერო-პრაქტიკული შედეგების მიღწევისათვის; 8. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ახორციელებს საასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიან ფუნქციონირებას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად;

9. იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, საფუძვლიანად ფლობს სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიას, აწარმოებს საქმიან დოკუმენტაციას, რითაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში;
10. ახორციელებს, თანამედროვე პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზებით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება-წარდგენას აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე.

კონცენტარაციების სწავლის შედეგებია:

I კონცენტრაცია - „აგროტექნოლოგია“

1. აქვს სისტემური ცოდნა კონკრეტული სამეურნეო ზონის მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ძირითადი სახეების, მაღალმოსავლიანი საუკეთესო დარაიონებული ჯიშების, მათი აგროტექნოლოგიური თავისებურებების და ნიადაგური პირობების გათვალისწინებით.
2. აანალიზებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს აგრარული დარგის ეფექტური და მდგრადი სასოფლო- სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის.
3. წყვეტს სასოფლო-სამეურნო კულტურების ბიოლოგიური და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით, მათი მოყვანის თანამედროვე ორიგინალური მეთოდების შემუშავება- დანერგვას.

II კონცენტრაცია - „აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა“

1. განიხილავს საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის-მსოფლიო საცნობარო ბაზის გამოყენების პრინციპების და საქართველოს ნიადაგების კლასიფიკაციის მიხედვით, მასზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორ გაადგილებას;
2. აყალიბებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ნიადაგში მიმდინარე პროცესებსა და გარემოს ცალკეულ კომპონენტებს შორის (რელიეფი, კლიმატი, ნიადაგი,…) ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გათვალსიწინებით.
3. აანალიზებს, ნიადაგური და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის საკვები ელემენტების მოძრაობას სისტემაში: ნიადაგი-მცენარე, მათ შორის ფესვგარეშე გამოკვების საჭიროებას თანამედროვე ტექნოლოგიების სრული დაცვით.

III კონცენტრაცია - „მცენარეთა დაცვა“

1. აცნობიერებს ბრძოლის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას ცალკეული პრობლემის გადაჭრის მიზნით, რითაც მიიღწევა მცენარეთა მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის რეგულირება, შესაბამისი პრევენციული ზომების გატარება, მცენარეთა დავადებებისა და მავნე ორგანიზმების მიერ მიყენებული დაზიანებების შეფასების საფუძველზე;
2. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სასოფლო-სამურნეო მცენარეთა ბიოლოგიურ დაცვას, ეკოსისტემაზე ნაკლები ზიანის მიყენების მიზნით;
3. ახორციელებს ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მცენარეთა კომპლექსური პრობლემის ინტეგრირებულ დაცვას.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო/კვლევითი კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენა, საჯარო დაცვა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.

შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ“, დანართი 2 https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/masters.php

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში" შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/pdf/forms-instructions/educational-process.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	აკადემიური წერა	5
2.	მცენარეთა ბიოქიმიის გავრცობილი კურსი	5
3.	მცენარეთა ციტოლოგიისა და ფიზიოლოგიის გავრცობილი კურსი	5
4.	სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდები	5
5	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები**	
5.1	ინტესიური მიწათმოქმედება	5
5.2	ორგანული მიწათმოქმედება	
5.3	აგრობიოტექნოლოგია	
5.4.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	
5.4.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	
5.4.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	

5.4.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	
6	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები**	
6.1	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	5
6.2	ნიადაგის ეკოლოგია	
7	კულტურულ მცენარეთა სელექცია-გენეტიკა	**5**
8	საცდელი საქმის მეთოდიკა	5
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	
9.1	აგრონომიის ინტეგრირებული კურსი	5
9.2	ბიოუსაფრთხოება და მცენარეთა დაცვა	
10.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5
10.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	
10.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	
10.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	
10.5	მცენარეთა ეკოლოგია	
	I კონცენტრაცია „აგროტექნოლოგია“	
11	მემცენარეობის აგრობიოლოგია	5
12	მარცვლოვანი კულტურების ჯიშთმცოდნეობა	5
13	ინოვაციური ტექნოლოგიები მემცენარეობაში	5
14	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები**	
14.1	მინდვრის კულტურების ეკოლოგიური და ჯიშური აგროტექნოლოგიები	5
14.2	საკვები კულტურების წარმოების ტექნოლოგია	
14.3	ნიადაგის ნაყოფიერების მართვა	
15	აგროექსპერტიზა	5
16	საველე პრაქტიკა აგროტექნოლოგიაში	5
	II კონცენტრაცია „აგროქიმია–ნიადაგმცოდნეობა“	
17	ნიადაგის მორფოლოგია და გეოგრაფიული გავრცელება	5
18	ნიადაგის ფიზიკა-ქიმია და ბიოლოგია	5
19	მცენარეთა ნიადაგური და ფესვგარეშე კვება	5
20	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები**	
20.1	ნიადაგი და ტექნოგენეზი	5
20.2	სასუქების და პესტიციდების გამოყენების საფუძვლები	
21	აგროექსპერტიზა	5
22	საველე პრაქტიკა აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობაში	5
	III კონცენტრაცია „მცენარეთა დაცვა“	
23.	მცენარეთა მავნე ორგანიზმები	5
24.	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები**	
24.1	ბიოტექნოლოგია მცენარეთა დაცვაში	5

24.2	მცენარეთა ქიმიური დაცვა	
25.	მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა	5
26.	მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა	5
27.	აგროექსპერტიზა	5
28.	საველე პრაქტიკა მცენარეთა დაცვაში	5
	კვლევითი კომპონენტი	**40**